



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 321

ქალაქი ქუთაისი 26 ოქტომბერი 2016 წელი

შპს „იმედი 7-ის“/ს/კ N03.06.21.430/ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანაცვლოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „იმედი 7-ისათვის“ /ს/კ 412720541/ გადაცემის თაობაზე,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, შპს „კომპაუდის“ 19.02.2016 წლის N128, 17.10.2016 წლის N1567, N1568, N1569, N1570 და 21.10.2016 წლის N1612 დასკვნების, მოქალაქეთა 2016 წლის 10 ოქტომბრის N24336/01 კოლექტიური განცხადებისა და შპს „იმედი 7-ის“ /ს/კ 412720541/ 21.10.2016 წლის N25202/01 განცხადების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, შპს „იმედი 7-ის“ /ს/კ 412720541/ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ა.წერეთლის ქუჩა N192-ში (ნაკვეთი N2-2; ნაკვეთი N2) მდებარე 944.0 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (ს/კ N03.06.21.430), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, გრიშაშვილის ქუჩა N19-ში მდებარე, 1200.0 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, მასზედ განთავსებული 917.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობითა (ს/კ N03.04.25.232) და 520.0 კვ.მ. ფართობის თანასაკუთრების მიწის ნაკვეთის, მასზედ განთავსებული 231.6 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (ს/კ N03.04.25.233.01.503) შპს „იმედი 7-ისათვის“ /ს/კ 412720541/ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. შპს „იმედი 7-ის“ /ს/კ 412720541/ მიერ გადახდილ იქნეს, ურთიერთგადასაცემი ქონების შეფასებით დადგენილი სხვაობის ღირებულება, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების 11.02.2016 წლის N57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შპს „კომპაუდის“ 19.02.2016 წლის N128, 17.10.2016 წლის N1567, N1568, N1569, N1570 და 21.10.2016 წლის N1612 დასკვნების საფუძველზე შეადგენს 260 000 (ორასსამოციათასი) ლარს.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების მომზადება, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიალურად.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/,მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი